

მოდალური ეპისტემიკური ლუკასევიჩის ლოგიკა გამდიდრებული კონსტანტით და მისი გამოყენება იმუნურ სისტემაში

რევაზ გრიგოლია^ა, ნუნუ მიცკევიჩი^ბ

ელ-ფოსტა: revaz.grigolia@tsu.ge

^ა მათემატიკის დეპარტამენტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ., 13

^ბ ბიოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ., 13

ჩამოყალიბებულია და განვითარებულია კონსტანტით გამდიდრებული სამნიშნა მრავალმოდალური ეპისტემიკური ლუკასევიჩის ლოგიკა, რომელიც სამნიშნა ლუკასევიჩის ლოგიკის გაფართოებაა, რომლის ენა გამდიდრებულია ნულარული და უნარული კავშირებით. უნარული კავშირები ინტერპრეტირებულია როგორც მოდალური ოპერატორები (ცოდნის ოპერატორები). ჩვენს მიერ შემოთავაზებულია ამ ლოგიკის გამოყენება იმუნური სისტემის შესწავლაში.

განვითარებულია რელაციური სისტემა როგორც ამ ლოგიკის სემანტიკა. რელაციური სისტემები წარმოადგენენ იმუნურ სესტემას, რომელიც თავის მხრივ არის რელაციური ბიოლოგიის ნაწილი.